



დ. ბაკრაძე

— საკვირველია, როგორ გადაურჩით გაქურდვას?
— საქმე ჩვენთვის და გასაქურდავთა სიიდან ამოგვიღეს!..



— ა, ზენე, ჩემგან ხუთასი მანეთი და უკან წაიღე
შენი ათასი მანეთი! სოფი იცო, რა ამგავია ქრთამზე?

ვის თავზე სვამდა გოგოს... ბიზლითიქა

აგრემც გამქრალა ის დღე და საათი,
როდესაც ჩემი ძმა — გიგოლა —
დანიშნეს უფროსად!
კეთილმა გიგოლამ მოყარა ძმაკაცები და
ყველას კარგზე კარგი ადგილები უბოძა!
იმ უკეთურებმა რა უყვეს გიგოლას —
ჩემს ძმას — გიგოლა მალაქელს? —
ისე გადავიდნენ ხვეჭაზე მალაყებს,
მთლად გამოაცალეს ღალა ყველს!
სირცხვილის ძარღვი გაიწყვიტეს,
ლიპები დაიყენეს
და, მოკლედ, დალაღდნენ!
და როცა კოკა გატყდა წყალზე,
ყველანი გადგნენ განზე და ჯობი გადატყდა
ჩემი ძმის — გიგოლას — თავზე!
სასამართლოზე გიგოლას ცოდვით ვიწვოდით!
ორგანიზატორის ნიჭი რომ არ გქონდა, გიგოლა,
ჭირიმე, არ იცოდი?
რამ გაკისრებინა, შე კაცო, უფროსობა,
დაფიქრებულიყავი ოდნავ?!

ლალი მარტაშვილი

გოლოს და გოლოს, როდის ვარ დაბადებული?

ნეტაჰ, ვიცოდე, რო-
დის ვარ დაბადებული, ან
რატომ დავიბადე?! — ასეთ
გულისწყრომას გამოთქვა-
მენ ისინი, ვინც განამე-
ბულნი არიან მოქალა-
ქეობრივი მდგომარეობის
აქტების სარეგისტრაციო
ორგანოებისაგან — მიიღ-
ონ სწორი და ნამდვილი
ცნობები დაბადების შესა-
ხებ!..

ამჯერად წარმოგიდგენთ
ერთ-ერთ ასეთ განამებუ-
ლთაგანს — პედაგოგ თამარ
მშვიდლობაძეს, რომელმაც
ვერ მიიღწია, მიეღო სწო-
რი და საბოლოოდ დად-
გენილი პასუხი თავისი და-
ბადების თარიღის შესა-
ხებ!..

როგორც ქალბატონი
თამარი ამბობს, 1960 წელს
მახარაძის რაიონის მმარის
ბიუროში მან თავისი თვა-
ლით ნახა 1924 წლის სა-
აქტო ჩანაწერების წიგნი,
სადაც წერია, რომ იგი
ნამდვილად არის დაბადე-
ბული 1924 წლის 25 დე-
კემბერს!

და, აი, როცა შეუსრულ-

და პენსიაზე გასვლის ასა-
კი — 55 წელი, 1979 წლის
25 დეკემბერს, დაიწყო შე-
გროვება საჭირო საბუთე-
ბისა, რომლებიც წარად-
გინა სოცუზრუნველყოფის
მახარაძის რაიონის გან-
ყოფილებაში. 1980 წლის
იანვრიდან ელოდებოდა
თამარი პენსიის მიღებას,
მაგრამ პენსიის დანიშნის
საკითხის განხილვა და პა-
სუხის შეტყობინება გაუ-
ჭიანურეს! მიზეზი? — და-
ბადების მოწმობა არა
გაქვსო, უთხრეს ოთხი
თვის შემდეგ!..

ქალს ელდა ეცა! — რო-
გორ თუ არა მაქვსო და
საბუთები მოიკითხა. ნახა
და, დაბადების თარიღის
დამადასტურებელი დოკუ-
მენტი სადღაც გამქრალი-
ყო!..

თამარი მაშინვე მმარის
ბიუროში გაქანდა, გადაი-
სინჯა დავთრები, და, და-
ხეთ საოცრებას: იგი არც
1924 წლისა და არც 1925
წლის წიგნებში არ აღმო-
ჩნდა დაბადებულად!..

გადაისინჯა 1926 წლის
სააქტო წიგნიც და, აი,

ჩანაწერებიც: თამარი და-
ბადებულია 1926 წლის 25
დეკემბერს. თვე და რიცხვი
კი ემთხვევა, მაგრამ ორი
წელი სად გაქრა?! უფრო
მეტიც: მართალია, დაბა-
დების თარიღად 1926
წლის 25 დეკემბერია აღ-
ნიშნული, მაგრამ იქვე წე-
რია, რომ სააქტო რეგის-
ტრაციის წიგნში გატარება
მომხდარა 1926 წლის 17
სექტემბერს (!), ესე იგი,
სამი თვითა და 8 დღით
ადრე — დაბადებამდე!..

მახარაძის რაიონის მმარის
ბიუროში აღმოჩ-
ნდნენ წინასწარმეტყვე-
ლები, რომლებსაც წინას-
წარ სცოდნიათ, რომ სამი
თვისა და რვა დღის შემ-
დეგ უნდა დაბადებულიყო
თ. მშვიდლობაძე!..

კიდევ უფრო უცნაური
მონაცემები — მახარაძის
რაიონის შინაგან საქმეთა
განყოფილების საპასპო-
რტო მაგიდის მიერ 1979
წელს გაცემული პასპორ-
ტით თ. მშვიდლობაძე დაბა-
დებულია 1924 წლის 25
დეკემბერს! 1944 წლის 20

ივნისს გაცემული საშუა-
ლო სკოლის დამთავრების
ატესტატის, აგრეთვე შრო-
მის წიგნაკისა და ქორნი-
ნების მოწმობის მონაცე-
მებით თამარის დაბადე-
ბის თარიღი 1924 წელია!
მახარაძის რაიონის სო-
ფელ შემოქმედის სასოფ-
ლო საბჭოს მიერ საკომ-
ლო ჩანაწერების საფუ-
ძველზე 1980 წლის 25
ნოემბრის თარიღით გაცე-
მული ცნობით კი იგი და-
ბადებულია 1925 წლის აპ-
რილში! სახელმწიფო არ-
ქივის 1938-1939 წლების
საკომლო ჩანაწერების მი-
ხედვით კი თამარი დაბა-
დებულია 1923 წელს, ხოლო
1940-1942 წლის საკომ-
ლო ჩანაწერით — 1925
წელს!

ასეთია თამარ მშვიდო-
ბაძის დაბადების თარიღის
„დადგენის“ ისტორია! „ნი-
ანგს“ აინტერესებს, გაი-
გოს ქალბატონი თამარის
დაბადების ზუსტი თარი-
ღი!

პასილ ხმალაძე



— გაიბა, ჩვენი თავზის მა-
ლაზიკის გამგა რუმ ღაუჭა-
რიათ?!

— ნეჭავ, თავზიკ ღაუჭირათ!



— როგორ ჩატარდა თქვენთან
მისაღები გამოცდები?
— ქალიან გკაცრად: ასი შპარ-
გალკიდან ოთხმოცის შეტანა
ქლივს მოვახერხეთ!



— თქვენ სკორტის რომელ სა-
ხეობაში ვარჯიშობთ?
— მე, ბატონო, ლიფტი რომ გა-
ფუჭდება, მიათე სართულზე ამ-
ყავს და ჩამომყავს ხალხი!..



გაიგეგმე
გაიგეგმე

აიდეინიანი მირზალ არვუშის ძე — გავრთიანება „თბილისის“ კომინატის
მძღოლი-ექსპედიტორი. „გამომგონებელ-რაციონალიზატორიც“ გახლდათ. „ევრიკა!“ —
პირველად მაშინ წამოიძახა, როცა მიხვდა, რომ მაღაზიაში ჩასაბარებელი რძის რაოდენობას სასაქონლო ზედღებულში, რა იქნებოდა, ცოტა წყავმალოდ. გაფიქრა და,
„ცოტა წასაბარებელ“ ცდიდა, ჩატომაც, 60 ლიტრი იჩჩია! მაღაზიის დოჟლაპია
მესვეურნიც მარჯვედ შეარჩია მირზალიმ — სურსათვაჭრობის პირველი მაისის რაიონის
28-ე მაღაზიას ოცდართი ფოკუსი გაუკეთა: ოთხი ეგზემპლარიდან იმას უტოვებდა
პროდუქციის მიმღებს, სადაც, მაგალითად, 50 ლიტრი 110 ლიტრად იყო გადასწორებული.
ქარხანაში კი ხელმოწერილი ზუსტი დოკუმენტი მიჰქონდა. ნამატ-ნაპარავ რძეს
კი „თავის“ მაღაზიას აბარებდა და კუთვნილ წილს იჭიბავდა. ასე აქცია აიდინიანი
„უპატრონო“ რძე 1151 მანეთად და 44 კაპაკად. 28-ე მაღაზიაში კი დღის ბოლოს
ამოად აჩსკუნებდნენ საანგარიშოებს, უკვირდით, 60 ლიტრი რძე საიდან გვაკლიაო!
გამომგონების ნიჭი ამაზე არ შეჩერებულა: „ევრიკა!“ — გიგანტი მაშინ წამოიძახა
მირზალიმ, როცა მიხვდა, რომ ფულიად ცარიელი ბოთლების გადაქცევაც შეიძლებოდა.
მძღოლი-ექსპედიტორებს მაღაზიებიდან რძის კომინატში ჩასაბარებელი ჭურჭლის ზედღებულებიც
ემღევათ, რომლებიც შვაცრ აღრიცხვავდა და თითოეულ ექსპედიტორს
თხოვით ბარებდა. მირზალიმაც ასეთი დოკუმენტები თავისხავე კოლეგებს აწაანა — სულ
მეც ცალკი ამის შემდეგ, მადებელი ცარიელი ბოთლების ზუსტი რაოდენობის ოთხი
ზედღებულობად ერთ ეგზემპლარს თავისივე ხელმოწერით მაღაზიას უტოვებდა და
წყრილი-წყრაილით მიაქანებდა მანქანას, კომინატისკენ კი არა, ისევ „თავის“, სანდ
მაღაზიისკენ. სადაც ყველა ხალხის იბარებდნენ ამ „უპატრონო“ ჭურჭელს (დანარჩენი
სამი ეგზემპლარი, ნაფიქრებლად ქვეყლი, კარგა ხანია, ქარს მიჰქონდა).

ოთხმეტე ასეთი ფოკუსი გაუკეთა თავის დროზე მირზალიმ ტენიანის რაიონის
სურსათვაჭრობის 28-ე მაღაზიის 51-ე პავლიონს, 40-ე მაღაზიის №1 ფილიალს, მე-18
მაღაზიის მე-4 პავლიონს, 88-ე მაღაზიის 41-ე პავლიონს, 28 კომისიის სახელობის
რაიონის ორ მაღაზიასაც გადასწვდა და 4.454 მანეთი „გაიმასქნა“. ვინ იცის, კიდევ რას
არ მოიფიქრებდა მირზალის ჭეუა-გონება და კიდევ რამდენ „ევრიკას“ წამოიბარებდა
რძე, მილიციის მუშაეებს რომ არ აეკრძალათ მისთვის გამომგონებლობა და ილუზიონისტობა..

უპროპოზიციო ნაშრომ გულმს ძმ — დაბადებული 1956 წელს, ქ. რუსთავში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ჯიბე-ჩანთა-ბინის სანიტარიულ-ჰიგიენური დასუფთავების ფაქულტეტზე და წარმატებით დაამთავრა იგი ჩანთების „ჩიოვის“ სპეციალობით! 18 წლისაა დაიცვა დიპლომი და სუთანაზე მეტი ნიშანი მიიღო — ექვსი წლით პატივრიბა მიუსაჯეს. თავი რომ ისევ სუფთა ჰაერზე დაიგულა, ამის შემდეგ გულოს ძემ უფრო გულიანად განაგრძო მუშაობა არჩეული სპეციალობის მიხედვით და ერთ დღეს შესანიშნავ სტილში, სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვით, გასუფთავა ქალის ჩანთა! აჭკრე და კვლავ მაღალი რეფაქსა მიიღო — 5 წლით მაკარი ჰეგუის კოლონიასში გაემგზავრა!

მურადოვი უბლა ბილწის ძე — დაბადებული 1932 წელს, თბილისში. ნამეტნავად ღრე გამოჩინდა ბილწის ძეს ეს „ბაღენი“ და, ამიტომ, მეოთხე კლასის დამთავრებისთანავე, უგამოცდოდ ჩაირცხეს ჯიბე-ჩანთა-ბინის სანიტარიული ჩხრეკის ფაქულტეტზე. მისი დამთავრების შემდეგ მურადოვმა თერთმეტჯერ დაიცვა დისერტაცია სახამართლოს გაფართოებულ სხდომებზე და თერთმეტჯერვე სხვადასხვა ვადით მიენიჭა „ნიჭიერი პატიმრის საპატიო წოდება!“

ერთხელ მურადოვმა საიუველირო მაღაზიაში შეიარა და თავისი ველური, მაგრამ იუველური ხელოვნება გამოაშუღანა — ქალის ხელჩანთის დასუფთავების შედეგად შიგ აშოპოჩინდა... მ მანეთი. შ. მურადოვი მეთორმეტჯერ წარჩხდა ფართო აუდიტორიის წინაშე, ბრწყინვალედ დაიცვა საშიშო რევილივისტის მეტად საშიში წოდება... და იქი-დანვე შეუსვენებლად გაემგზავრა განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიაში!

რუმბაძე იოსებ დავითის ძე — დაბადებული 1961 წელს, თბილისის მკვიდრი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იოსებმავე ჯიბე-ჩანთა-ბინის სანიტარიულ-ჰიგიენური დასუფთავების ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა და წარჩინებით დამთავრა იგი ჩანთების „ჩითვის“ სპეციალობით.

მიღებული სპეციალობა იოსებმა სპეციალურად ქუჩაში გამოიჩინა, თანაც ხალხ-მრავალ ადგილას — ორჯონიკიძისა და აბასთუმნის ქუჩების გადაკვეთაზე! მან, თავის ოსტატობის სადემოფსტრაციოდ, ქაღალდის ხელიდან გამოსატყა ხელჩანთა, მაგრამ მისი სანიტარიულ-ჰიგიენური „გახსუფთავება“ ვერ მოახწრო — მილიციის მუშაკებმა შეუშდეს ხელი!

ამემაღ რუმბაძე თავისნაირების რუმბთან ერთად გადასამადებელ კუჩხებზე გაემგზავრა ორნახევარი წლით!..

მეზვარიშვილი გიორგი — მცხეთის რაიონის სოფელ ბიჭმენდის მცხოვრები. აქა-
ოდა, მეზვარიშვილი ვარო, ზვრების ნაოფის ნაჟურს ვინც ჩემდენს არ ღაღეცს, ღედის
ხენს არ შევარჩენო! მეზობლის — ლევან მაჟულაშვილის ოჯახში გამართულ ქორწილ-
ში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი: სვა, სხვასაც ახვა და როცა თანახმდელ თანა-
სუფრედა — აღექვანდრე საღარშეშელს შეატყო, „ღვინოს იპარავსო“, მოვერვივით
შეუფლვარა — მე ვიცო და შენაო „ნუცა მოჰკვეს, ვითა მთვრალიო“, უთქვამს ბრძმ-
რუსთაველს, მაგრამ გ. მეზვარიშვილმა არც სხვა ბრძმენის ნათქვამი შეისმინა, რომ არ-
სებოს კატეგორია აღამიანების, რომდებაც ღვინო არ უნდა სვან: „ის, ვისაც ღვინო
ახუღდენო! ვინც მღაღიანეჟ იჟურება სიმთვრალეში ვინც ღვინოს მარტო მწვანელს
ტანს — მალე დაჯვარეო! ვინც ერთი ქიქით თვრება და ვინც სიმთვრალეში ტანსაც-
მენს იბინძურებს!“ ჰოდა, ადგა გ. მეზვარიშვილი და აღ. საღარშეშელს ჩაუხადრე-
ხბილდელ ღანა ჩასცა და კინაღამ სიციცხელს გამოასალმა! ახლა „ოთხწლიან ხუფრას“
უღის გიორგი მეზვარიშვილი და ფიქრობს — ეს რა ჭარიმა დამაღვინესო!..

საჯანსუღო სიკვდილი

ა მ ხ ა ნ ა გ ო ჯ ა ნ ს უ ლ ! —
კარგადაა საქმი—
ვერვინ მომიხივს პასუხს—
ღირსი ხარ და — გაქვები!

საყვარელო და ენაშუზე,
რეც დიდებული ავიღოდი, —
შენ, — დაბადებისთანავე, —
მდინარესავით ადიდდის!

ხარ ქმობის, მეგობრობისა
და ერთგულების არბიტრი!
ემა შენს გამგებობას,
პატრიოტობას, არტისტიზმს!..

თავს გადავს დიდი ნათელი,
გვახარებ ლექსით — გრძნეულით
და გვაჯახს სიკვდილს სიტყვით
და საქმით — ჯანსუღისეულით!

ახალგაზრდობის ქომაგად,
რჩემის კელად ხარ ქვეულის
წყნარი ნაღველ და ნაშოღველ,
დარჩება შენი „რჩეული“!

გითარგმნინა: რუსი, სომეხი,
უკრაინელი, ჩეკოვანი..
მზიურ ეუროპის ასხივებ,
ანთიხარ მისი მურაზით!

დგუბტატი და მდივანი —
დგახარ ნოღვით ბრუნვანში
და, ალბათ, შევრსავ მთუშვებ,
რაკი მოუშვი ნუღვანი!

„მუბლით უნდა გაგლიჯო,
მუბლით უნდა გაიტანო!“
და, თუ მუბლი გაგიცკდა, —
დაფნით უნდა დაიფარო!

შენი ნიამი

ჯანსუღი კარნიშები
მორიგით

როდესაც ენემ შემოდის ჩემთან,
როცა ბიწავი მჩვენებს საუბარს,
მის ვერცხვს, იმის ვერცხვს —
თან გაღვებები! — მტერი რა უნდა?!

მეგამ თუ ვინმე კარს შემომიბრუნებს,
აპრობის ტუტებს რეგბად დაიღამეს—
ჰა, დიდი-დიდი, პარალელური
შენ ტელეფონი ჩემგან დაიდგას!

ნოვამი ბარბანი

სიკვდილი

გარეხა რომ არ დაღუნდეს,
რაც გტყავი, ის რომ გაუხადეს, —
ალბათ, არ უნდა გარეშე,
ალბათ, არ უნდა დაწინარდე..

ალბათ, არ უნდა დაწინარდე,
ალბათ, არ უნდა დაღუნდე,
პირითი, — უნდა გაეხადე,
პირითი, — უნდა აფლადე..

სისხლითი უნდა აფლადე,
მუხლითი გაუხადე ბოქსებს..
უნ დაჯახდის გაუხადეს?
უნ გაატყავს სიწყვეტი?

ა მ ხ ა ნ ა გ ო !

ა მ ხ ა ნ ა გ ო ! — ექვთი წლიდან, —
რაც ვინმევე კითხა, —
მე ჯერ არაადა წამოიხივს
უფრო კარგი სიტყვა,
უფრო ნაღვი, ქვეშარტად
ჩაინდული უფრო,
უფრო მშვიდი, უფრო ახლო,
უფრო სასაუბრო, —

ოფერ გახლავს — ა მ ხ ა ნ ა გ ო ,
ა მ ხ ა ნ ა გ ო ! — ვფერ,
ფსახად სისხლად და სიციხის
ფსახად დაეშვიკადი,

არც დიდიხან, არც ბუხართან,
არც მინდორზე წოლით,
ა მ ხ ა ნ ა გ ო ! ა მ ხ ა ნ ა გ ო !
მოვიპოვე ბრძოლით!



ერთი დროითი და მინუთი,
ერთი უღელ-ქედილი,
გაქირვება ა მ ხ ა ნ ა გ ო ს
არის შემოქმედია!

ა მ ხ ა ნ ა გ ო ! — ღირსი შენი
სიმღერის და ჩანისა,
ა მ ხ ა ნ ა გ ო , ესე იგი,
წინააღმდეგ ჩავერსი!

ა მ ხ ა ნ ა გ ო ! — ესე იგი,
მსუყვასი და მსხნელი,
ა მ ხ ა ნ ა გ ო ! გახდადღელი
უნდა გამოსწიო!

ა მ ხ ა ნ ა გ ო ! ერთად, ერთად,
სყუარელების ერთად..
ან სიტყვაში ჩაქსოვიდა
სიყვარული ერთად!

იგი, როგორც მწიგნარი და
იგი, როგორც მხედარი..
მისი აზრი და სიმძლავრე
სხვანაირად ღერება!

ახლა ვიღაც „ა მ ხ ა ნ ა გ ო“-ს
ისე ეუფლებს პატივს,
თითქმის ზურგიან მოღვაწეს
და ჩავერსი კუბი!

ა მ ხ ა ნ ა გ ო ! — ესე იგი,
ეუფადაა საქმი..
ა მ ხ ა ნ ა გ ო ! — ესე იგი,
განმეხადე თავქვე!

არა პოლიტიკა, მაგრამ მაინც
პირში უნდა იტყვას!
ა მ ხ ა ნ ა გ ო !
გაეუფრობოდა ამ რაინდულ სიტყვას!

მხიბლარა პალიმანთან

— გამარჯობა!
— გაეუფრობოდა,
თმებელარა მდივანო!
ჩამოგარევი ხელს, მაგრამ
აქვე უნდა გადუბნო..

ბრანდინი მირაჟი

გველიბრისტი ბურის ისტორიის ფერადს,
არაბიტობას ცდილობს ჯამბახი..
ტაქსიბარა, გაბიხის პერანგს,
ბარბარდებს უფრე ღარბახი..

კაცს სატყვარი მჭედნი უტაცეს,
კაცი წამოხტა და იყრდნენ..
„ჩვენი საღამო რანგუტანგებს!“
— იარეზადან დასტებს ბიჭებმა!

ჩვენი საღამო მელას — აფერისტი
[მაგი დედალით აქვს დახსნადარა!]
იხით დამაბრუნა ლეფელდერი,
— ვეფხემა შექმა ტაქსიბარა..

ანთი მარკოლი


ტყავანდა შემოვიღე, —
დაუფიქრებლად გიპოე..
ღმერთის ბაქტერიით შენინე, —
მე მაინც შენისე კოლოც!

მრავალი ფიხი დამკარი, —
მოვედ მრავალი იწილზე..
მყოს ღრის გამაგრ ნამგალი,
ბოსტანი გამომდგირე!



წელზეზე ფიხი დაფიდა,
ცხენად გარეშე თავლი..
ნახველ და მაინც ავი თქვი,
— ავადმყოფს არ მიმძალი!

მე რაც მომეცია, მითხანა
სხვანაირად შევადგინე..
ეგე, მითხანა, სხელი — არა,
ერთი ნახველის კაციო!



საქმირა-იწილური
ლორწი

უფლი კაცის დასაწყობება

სხვა იმდენად არაფერი, —
მოხდა ერთი ცვლილება, —
სიძლიადე კარგა ზეგრი
ცოცხად მიგაღებოდა..
ნათი ცრემლი დაეჭრას
ახლებული ცოცხლად..
მანქანადან გადმოხვდა



ახალგაზრდა მძღოლებმა..
ჩავერდებდნენ (იგი გაქვს),
ცოცხად რომ დაეღვლით!
შენ აღარ ხარ, მაგრამ საქმი
ისე მიღის, — შეველიაინ

კ ა მ რ ი

კუთხეტი მდივანი და
კუთხეტი პირლადი, —
თუშვა მუცელური
მაინც უცუხადარ, —
კუთხეტი შენი

თიერი პირნავე —
უცლას სიუხადარ და
უცლას უცუხადარ!
იწიება კაცის
გასიხივების—
ერთ მწიგნარი დღეს,
უცლას, ერთიან..
კუთხეტი შენი — პატივითი —
უცლას სიუხადარ და
მაინც ცვლილება!

უ ა მ რ ი

მე შენ ავიღე, როგორც ნახვინი,
არაბიბის შემქმნელად გვექმნი
კინადე ზეგრი და მოგახერხე —
თვალბეჭადითი თოჯინად შეგქმნი



ესე კალმობილი, ველი სიხერის,
გახავებული და სხვის გამწინი..
შენ აღარ ხარ, შენ გაბიბრე
და ახლა ნახვინი თვალბიბი მაგრი..

ბ ო ლ მ ი ს ლ მ ი

რაცა თქვი, ისე ეუფად თქვი,
რომ კაცის გული დაეღვას!
გაბიბრა რასაც გინდობენ,
იმას გინდობენ გაღვას!



ველი რა გადამაინ, —
ველი ბაღისი გადამაინ!
შე კაცო, ვინა ხარ? —
მუცელი წამოხარ არა ხარ?!

„მე“-ს
ველი რა — ბატკანითი
შემოვიწინე შენი..
ლელი, ჩემი გატანალი,
მიგაგრე შენი..

ჩემი სისხლის წიაღურები
გვეფხემა შენი
ჩემი მჭედითი მარადეც და
ჩემი ერთობლი უფრე..
დაფიხად და დედადებოდა,
სხვანაირად სიტყვა!
ველიმწიბი გაუფიქრო,
ა მ ხ ა ნ ა გ ო ! ა მ ხ ა ნ ა გ ო !

უამირი საღვებამილი
მ ა მ რ ი მ ა მ რ ი ს ა ლ მ ი

ტუბილუბარი ხარ,
პირნერი ხარ
და ხარ კალმირი,
უფიხა ბეჭე



დამწილი გაქვს
ფიხი ანგულისი..
შენ მუბლით ტუბის
არეც გაუტრისი —
თვად მადღერსი —
რამეთუ არ ხარ
შენ მყოფარე
ს ა მ რ ი მ ა მ რ ი ს ა ლ მ ი

მ წ ე ხ ა რ ა ა

„მეცხელი მწიგნობის მამა არ დიდიო
და სანადირო თიღი უსარო..
შეგრი არს მწიგნობის სხვისი კეილას ზე..
— აქ განმარტავს სიბა..
სიხე იგოს, მაგრამ მამა მამა სხვა ხომ არ
არის? —

მეგობრის წერილიდან

— არა, შენი მტკიარ,
მოდელი უცლითი მტკიარ

ველი რა მჭედითი
მწიგნობის მამა არ დიდიო
და სანადირო თიღი უსარო..
შეგრი არს მწიგნობის სხვისი კეილას ზე..
— აქ განმარტავს სიბა..
სიხე იგოს, მაგრამ მამა მამა სხვა ხომ არ
არის? —

ზეგრი მწიგნობის მამა არ დიდიო
და სანადირო თიღი უსარო..
შეგრი არს მწიგნობის სხვისი კეილას ზე..
— აქ განმარტავს სიბა..
სიხე იგოს, მაგრამ მამა მამა სხვა ხომ არ
არის? —

მე იმ მარანს რა უფიხარი,
იმ ლეილის და მჭედარს! —
მამა მამა დასტარს საყუთარს —
მინისაგის დასტარს!

ღმერთო, მძიბა რა გათვლი,
არ მძივდეს რასხად!
დაფიხად საქმირთული
შინაური მჭედარს!

გაღვასარღვინი
მდივანი მწიგნობი

— რას იტყვი,
კინადე დედალითი თითო?
— დედალითი, მაგრამ
ნუთისფლის ზარი რას გვიბიბს?!



— შენ როგორ ფიქრობ,
გაღვას, ვითომ? —
მეტი არაა ჩემი მჭერი,
ამან გაღვას!

მ ი ლ ა ბ ა ბ ა მ ი ლ ა ბ ა

ჩამოგრილითი რიგინი—
იტყვებდეს და ერუდისი! —
როგორც გათვლითი,
როგორც გამომწივრდისი..



პირნერული „ზეგრიო..
გამწიბრა, ხახხიში განმწივრდისი!
მაინც კარგად გასტყვლი,
კარგად იმწიგნობარე!

იღვტარეცხე ჯ. ლელაშვილი

ვეფხვი მის დევს კუს, მაგრამ ვერასოდეს დაენევა. ფეხმარდი აქილევსიც ვერ ენეოდა კუს.

— ლოგიკურად როგორ მტკიცდება ეს ამოცანა?

— ცხადია, ვერ დაენევა: ისინი ხომ სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობენ!..

— არა, მიმართულება ერთია! — მაინც ვერ დაენევა, რადგან აქილევსი ჩვენს წელთაღრიცხვამდე ცხოვრობდა, მაშინ კი დრო უკან მიდიოდა.

ეს ხუმრობაა. მაგრამ ძველი ბერძნები სერიოზულად მსჯელობდნენ ამაზე და ლოგიკურად ამტკიცებდნენ, რომ აქილევსის მიერ განვლილი მანძილის მონაკვეთი აახლოებს მას სანაყის წერტილთან, საიდანაც კუმ ცოცხა დაიწყო, მაგრამ სანამ აქილევსმა ეს მონაკვეთი დაფარა, კუმ მოასწრო უფრო პატარა მონაკვეთის გავლა. აქილევსსა და კუს შორის მანძილი ჯერ განახევრდება, შემდეგ გახდება მეოთხედი, მერვედი და ასეთი პროგრესია გაგრძელდება უსასრულოდ. აქილევსი კუს ვერ დაენევა, მხოლოდ უსასრულოდ მიუახლოვდება. ეს ერთი მათემატიკური პარადოქსიაა, მაგრამ ჩვენ ახლა პარადოქსთან არა გვაქვს საქმე. ეს ვეფხვი მართლაც ვერ დაენევა ამ კუს: მათ შორის მანძილი არც შემცირდება და არც გაიზრდება!..

ვერ დაენევა იმიტომ, რომ ისინი კარუსელში არიან შემოქმედნი! აქ ლომს მისდევს შეშინებული კურდღელი, იმას — კიდევ უფრო შეშინებული ცაყვი, ყველანი ერთმანეთს მისდევნენ, ყველანი ერთმანეთს გაურბიან, მაგრამ ვერაფერი ვერაფერს ენევა და ვერაფერი ვერაფერს გაეცევა!..

იმიტომ, რომ ეს კარუსელია!.. კარუსელი ტრიალებს მარცხნიდან მარჯვნივ, კარუსელი ტრიალებს ზემოდან ქვემოთ, ან — ქვემოთ ზემოთ, კარუსელი ტრიალებს, სანამ გარეშე ძია არ გააჩერებს! მაშინ ყველაფერი ჩერდება ადგილზე, მგელი ტურას ვერ დააშინებს და ტურა — ბატს! იმიტომ, რომ ეს გაჩერებული კარუსელია, კარუსელი ან გაჩერებულია, ან ტრიალებს!..

ორშაბათი

— დღესაც თუ არ მოგიტანია ცნობა, სახლში ფეხი არ მოადგა!

ჭიჭიკომ ცალი თვალით გახედა დონეშემოყრილ ცოლს და ხელი ქუდისკენ წაიღო.

— გესმის, კაცო?!

— რა გინდა, ქალო, ისედაც არ მატარებ სახლში, პარკეტი არ დამისვარო, და ახლა სულ არ შემოადგმევინებ ფეხს?!

— არც ხარ შემოსაშვები!..

ჭიჭიკოს გაეცინა.

— იცინე შენ! ცნობა კიდევ



კარუსელი

თუ არ მოიტანე, წელსაც ურემონტოდ დავრჩებით!

— რომ მოგვკვდეს, დღესვე გავაჩენ ცნობას! ისეთ რემონტს გავაკეთებ, გაგებარდება! პარკეტს ჭერში ავატანინებ! მერე აპრიალე, რამდენიც გინდა, და არავინ დაგისვრის! იატაკზე კი არხეინად ვივლით ტალახიანი ფეხებით მამაკაცებით!..

— წადი ახლა, წადი! — ძლივს იკავებდა სიცილს სოფიკო.

— უბალტოდ მიშვებ, ქალო?! ბარემ იატაკის სანმენდი ჯოხი ჩამწარე პირში და ამ შუა ზამთარში, სახლში, ქმრის მაგივრად, ესკიმო მოგივს!.. გიყვარს ჩემი ტყვერა და გემო მაინც ჩამატანე!

საბოლოოდ გაქრა სიბრაზე. სოფიკოს გაეცინა და ახლა თხოვნაზე გადავიდა:

— ისედაც გემრიელი ხარ, გენაცვალე, ოღონდ ცნობა მომიტანე!.. გაკოცებ, თუ გინდა!..

მართლა გაინია საოცრელად, მაგრამ ღია კარებში მეზობლის გოგონა გამოჩნდა. დიდი და გაოცებული თვალები ჰქონდა, თან — ცისფერი!..

ჭიჭიკომ სამსახურში შეირბინა. ნახევარი საათი ინრილა. უფროსებს მოეჩვენა, უმცროსები მოჩვენებასავით დააფრთხო. ახლავე მოვალე, თქვა და გაქრა.

რა უნდა ექნა?! პოლიკლინიკაც მაშინ მუშაობდა, როცა — სახლმმართველობა. ცნობა კი აუცილებლად სჭირდებოდა, რომ ის ნამდვილად ჭიჭიკო პრასიშვილია, ცხოვრობს ბინაში, ჰყავს ერთი სიდდერი, შესაბამისად — ერთი ცოლი და ორი შვილი.

სახლმმართველობაში დროზე მივიდა.

— ცნობა მინდა!

— ოხ! ცნობას რავა დაგიკავებთ, ბატონო, მაგრამ შალიკიჩი არ გახლავთ!

— ჰოდა, მომეცით მერე! რა არ გაქვთ?!

— ყველაფერი გვაქვს, ბატონო, მაგრამ შალიკიჩი არ არის!

— ვინა?!

— ყურს ხომ არ დაგაკლდათ, მოქალაქე? ექიმს მიმართეთ!

— რაც მაკლია, კი ვიცი მე! — გაცხარდა ჭიჭიკო, — ისე კი, ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი თვითონ გახლავართ!

ქაღმა თვალთ გაზომა ჭიჭიკოს ცხვირი და დაეთანხმა:

— კი გეტყობათ, ბატონო!..

— რა ვქნათ ახლა, მომცემთ ცნობას?!

— ხომ მოგახსენეთ, შალიკიჩი წასულია!

— ვინ არის შალიკიჩი?!

— ჩვენი სახლმმართველი, ანაპოდისტ შალიკიჩი!..

— აჰა, გასაგებია, — გულზე მოეშვა ჭიჭიკოს, — სად წავიდა?

— გამოიძახეს!

— როდის მოვა?

— არ დაუბარებია! დაელოდეთ, მოდის ხოლმე!

და „პასპორტისტმა“ ქაღმა კალამი აანრიბინა.

საუბარი დამთავრდა.

დაიწყო ლოდინი.

ამ დროს შალიკიჩი ჩვეულებრივ ანაპოდისტად იყო ქცეული და ბახვოვიჩის კაბინეტის წინ ატუზულიყო. წელსაც რომ არ ეშოვა კისლოვოდსკის საგზური ცოლისდისთვის, ცოლისდა აღარ ეყოლებოდა, რადგან ცოლი გაეყრებოდა!..

— ბახვოვიჩი ზემდგომ ორგანოში გამოიძახეს, დაელოდეთ, შეიძლება, მოვიდეს! — ღიმილით უთხრა ლამაზმა მდივანმა ქალმა და შალიკიჩი კმაყოფილი ჩაჯდა მის პირდაპირ სავარძელში.

ოთახში ათამდე სხვადასხვა ასაკის მამაკაცი იჯდა და ოცი თვალი ჩაეჭდოთ ბახვოვიჩის კეკლუცი მდივნისთვის. ეტყობა, სასიამოვნო ფიქრებში იყვნენ გართულნი და, მაინცდამაინც არ სწუხდნენ, რომ ბახვოვიჩი იგვიანებდა.

ამ დროს სილიბისტრო ბახვოვიჩი, ჩვეულებრივ, სილიბისტროდ ქცეულიყო და სიპიტოვიჩის მოსაცდელში იჯდა. მას უკვე გაერკვია, რომ სიპიტოვიჩი ერთ კომპეტენტურ დაწესებულებაში იყო თათბირზე და, თათბირის დამთავრებისთანავე, მოვიდოდა. ოღონდ, ის არავინ

იცოდა, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა თათბირი. მომსვლელები მატულობდნენ, ისინი — თქნარებდნენ (სავსებით თავისუფლად, რაკი სიპიტოვიჩი ადგილზე არ იყო), ხანდახან თამბაქოს გასაბოლებლად თუ გავიდოდნენ მოსაცდელიდან. ბახვოვიჩი თვლემდა და ოცნებობდა იმაზე, თუ როდის მოვიდოდა სიპიტოვიჩი და მისცემდა პერსონალურ მანქანას!..

მაგრამ სიპიტოვიჩის მისთვის არ ეცალა. უბრალო ოლიფანტედ ქცეულს, თავისი დარდი ჰქონდა: ვერ იქნა და ვერ უშოვა მეზობელს შესაფერისი ბინა! ის დალოცვილი ყველაფერს ინუნებდა, რაკი იცოდა, რომ ოლიფანტე სიპიტოვიჩის მისი ერთი ოთახის მიმატებით ხუთოთახიანი ბინა გამოსდიოდა! ჯოლორიევიჩი კი, მისი მეზობლისათვის ბინას რომ დაპირდა, კიდევ არ ჩანდა!.. იჯდა ოლიფანტე მოსაცდელში და არ იცოდა, როდის ელრისებოდა ჯოლორიევიჩის ნახვას!..

სად იყო ამ დროს ჯოლორიევიჩი? — იგი პრასიშვილს ელოდებოდა, — ყელ-ყურ-ცხვირის ექიმს! კიდევ კარგი, რომ სმენა მხოლოდ მარცხენა ყურში აკლდა, ყელი, ცხვირი და მეორე ყური ჯანმრთელი ჰქონდა! მაინც პრასიშვილი მთლიანად სჭირდებოდა და თეთრსახლათიანი ექთანის წინ ძველ სავარძელში თვლემდა!..

სამშაბათი

ჭიჭიკო პრასიშვილი კვლავ ეძებდა შალიკიჩს, შალიკიჩი — ბახვოვიჩს, ბახვოვიჩი — სიპიტოვიჩს, სიპიტოვიჩი — ჯოლორიევიჩს, ხოლო ჯოლორიევიჩი უცდიდა ექიმ პრასიშვილს და სმენა უკვე მარჯვენა ყურშიც დაკლებოდა.

ოთხშაბათი

პრასიშვილი წავიდა შალიკიჩთან, შალიკიჩი — ბახვოვიჩთან, ბახვოვიჩი — სიპიტოვიჩთან, სიპიტოვიჩი — ჯოლორიევიჩთან, ხოლო ჯოლორიევიჩი პრასიშვილის კაბინეტთან ცხვირიც ასტკივდა.

ხუთშაბათი

პრასიშვილი — შალიკიჩთან, შალიკიჩი — ბახვოვიჩთან, ბახვოვიჩი — სიპიტოვიჩთან, სიპიტოვიჩი — ჯოლორიევიჩთან, ჯოლორიევიჩის ანგინაც დაემართა!..

პარასკევი

იხ. ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი!..

შაბათი

იხ. კვირა!

კვირა

ყველამ დაისვენა იმ იმედით, რომ ორშაბათიდან კვლავ შედგომოდნენ ძებნას.

ასიმიტირა



— რას დგახართ ამ უსაქმოდ?
— ველოდებით, უნდა დაგვირეკოს!

ნიანგს უკასუხებენ

„ნიანგის“ წლებიდან მეორე ნომერში დაიბეჭდა ფელეტონი — „დადიოდა ქალაქში მეშუშე“, რომლის თაობაზე რედაქციას უკასუხებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ანხ. ბ. სოგომონძე:

წერილში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით სავსებით დადასტურდა. შემოწმების მასალები გახიზნა სამინისტროს კოლეგიამ, რომელზეც აღინიშნა, რომ, მიუხედავად სამინისტროს კოლეგიის დადგენილებებისა, ქ. თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს და გაერთიანება „განთიადის“ არაერთი კონკრეტული ღონისძიებანი არ განუხორციელებიათ მომსახურების ასეთი მნიშვნელოვანი უბნის გაფართოებისათვის. ქალაქს, სადაც მილიონზე მეტი მოსახლეობა ცხოვრობს, მხოლოდ შვიდი მეშუშე ემსახურება. პირობები არ არის შექმნილი მოძრავი მომსახურებისათვის, სამი სარემონტო ბრიგადისათვის გამოყოფილია მხოლოდ ერთი ავტომანქანა, თუმცა ავტოსატრანსპორტო საწარმოში ასზე მეტი მანქანაა, რომელთა მეტ ნაწილს სამეურნეო დანიშნულებისათვის იყენებენ და არა — მოსახლეობის მომსახურებისათვის. ხშირია შემთხვევები, როცა შუშებს სვამენ ლავების მიღებიდან 5-10 დღის შემდეგ; ამასთან, საკონტროლო დაკვეთებმა ცხადყვეს, რომ გაერთიანება „განთიადის“ საღისეულები სამსახური უარს აცხადებდა დაკვეთის გაფორმებაზე იმ მოტივით, რომ მინები არა გვაქვსო! მინები კი საკმაოდ ჰქონდათ! გაერთიანების სანტექნიკურ სამსახურში (ფურცელადი ქ. № 18) მოქალაქეებს უარს ეუბნებოდნენ შუშების ჩასასმელად დაკვეთების მიღებაზე, მაშინ, როცა 204 კვადრატული მეტრი მინა ჰქონდათ. დარგისათვის გამოყოფილი მინის ფონდები სავსებით უნდა აკმაყოფილებდეს ქ. თბილისის მოსახლეობის მოთხოვნებს ამ სახის მომსახურებაზე, მაგრამ ამ მოთხოვნებს, ჯერ ერთი, არავინ სწავლობს და მეორეც — გაერთიანება ვერ ითვისებს შუშების დამატებით ოდენობას მუშა-ხელის სიმცირისა და მოსახლეობის მომსახურების ცუდი ორგანიზების გამო.

სამინისტროს კოლეგიამ დაავალა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს (გ. ასათიანი) — გადაუღებელი ღონისძიებანი განახორციელოს ამ სახის მომსახურების გასაუმჯობესებლად, რისთვისაც უზრუნველყოს გაერთიანება „განთიადის“ შუშების ჩამსმელი მუშა-ხელის რაოდენობა, ქალაქის ყველა რაიონში გახსნას სარემონტო სამსახურები, რომლებიც მოსახლეობას მოემსახურებიან შუშების ჩასმას; გაერთიანებას გამოეყო ოთხი სატრანსპორტო ერთეული; საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურების მმართველის სამმართველოს (ზ. ჯორბენაძე) დაევა, უზრუნველყოს ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს განაცხადების სრულყოფილი დაკმაყოფილება სათანადო შუშებზე მოსახლეობის მომსახურებისათვის და სისტემატური კონტროლი გაუწიოს მათს დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

კოლეგიამ ყურად იღო საქალაქო სამმართველოს უფროსის — გ. ასათიანის განცხადება მოსახლეობის მომსახურების მკვეთრად გაუმჯობესებისათვის დასახულ ღონისძიებათა შესახებ.

გაერთიანება „განთიადის“ დირექტორის მოადგილეს — გ. ფერაძეს, ზემოჩამოთვლილ ღარღვევათა გამო, გამოეცხადა საყვედური.

მიკრობარათები

— ნიანგს

ხელშეკრულების რაიონის სოფელ ერგეს სკოლის შენობა 50 წლის წინათ ეკუთვნოდა რკინისა და სპილენძის დამამუშავებელ ქარხანას, შემდეგ პირუტყვის სადგომად იქცეხებოდა, უფრო შემდეგ — მინერალური სასუქების საწარმოდ, ბოლოს „შეკეთეს“ და სკოლას გამოუყვეს! სახურავიდან წვიმის წყალი ჩამოდის, იატაკი დანგრეულია, კედლები — დანესტიანებული. სკოლის ახალი შენობისთვის საძირკველი კი გათხარეს ამ 8-4 წლის წინათ, მაგრამ საძირკველი რას უშველის, თუ... ვინაც ჭერარსს, არ უშველა?!

ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბოკვიანში „ხიდი არ გვიდევს წყალზედა“. მაშ, როგორღა გადავიდეთ „ამ სატილო მდინარეს“?

შაჰგუბაში, სიონ-გარბანდებს ერთი ელექტროწისქვილი გვემსახურებოდა. ორი წელია, წისქვილი აღარ მუშაობს იმის გამო, რომ ძველი მეწისქვილის ადგილზე დღემდე ვერ შეარჩიეს კაცი...

ახანო გვაქვს, მაგრამ ისეთი ვიწრო, — შიგთავსი კუდს ვერ... დაიბანს! სოფელში ახალი გზა გაიყვანეს, ძველი კი უპატრონობისგან გაფუჭდა!

სამტრედიის რაიონის სოფელი ნაფალაური ქალაქს შეუერთეს და ხანაპიროს ქუჩა დაარქვეს, მაგრამ, ვაი, ასეთ ქუჩას: ზაფხულში მტვერში ვიხრებით, ზამთრში — ტალახში! ელექტროსადგომი ავარიულ მდგომარეობაშია! რადიოსაც ვნატრობთ! მოკლე, ქალაქთან შეერთებამ ჭერჭერობით ვერაფერი სიკეთე მოგვტანა!

პიათურის რაიონის სოფელ ხეშოთის ხუციშვილების, მიჟუტაძეებისა და კვასაძეების უბნების მცხოვრებნი სახლიდან მალარომდე დღეში 14 კილომეტრს ფეხით გავდივართ... აქ ისეთი გზაა, ავტობუსის ხსენებასაც ვერ ვხედავთ!

პასპის რაიონის სოფლებს — ზემო ხანდაკს, სახირეთს, ბარნაბიანთარსა და გრაკალს ერთი ავტობუსი ემსახურებოდა. მართალია, სიძველის გამო ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან, მაგრამ ზოგჯერ რომ მაინც მუშაობდა?! ავტობუსი ჩამოწერეს, ახალი კი აღარ დაგვინიშნეს!..

უკითხვა

ზამთრისთვის რომ მურგა და ბევრ კომპოტს ვინახავთ, ქილის სახურავები ვინაწირთ? ვიტრინებში გინახავთ?!

ბოშები რომ აშკარად რუსთაველზე ვაჭრობენ, — რატომ არავინ უშლის?! — სპეკულანტად არ ცნობენ?!

სამასმანეთიანი „ლევია“ რომ გაცვია, რომელ უნივერსალის თაროებზე აწყვია? „ვოლგით“ რომ დასეირნობ, ბაჭიობს და დიდგულობს, მკირეხელფასიანი „ვოლგას“ როგორ ყიდულობ?!

გამწვანება ქალაქის ძნელია თუ ადვილი? ჩვენ რომელი გვაკლია — ნერგები, თუ ადგილი?!

საერთო ეზოებში ხეები რომ ირგვება, ტექნიკური ნყლითა თუ სასმელი ნყლით ირწყვება?!

სათამაშო მოედნებზე მანქანებს რომ ვაჩერებთ, ბოლო-ბოლო, რას ვიზამთ? — ბავშვებს გადავამენებთ?!

ერთი ეჭვი გულს მიჭამს, არც თავიდან მშორდება: რვაჯერ ნაცინარია, მეცხრედ გამოსწორდება?!

ნიკოლოზ იოსელიანი

ნახ. ი. შიქინაშვილისა



უსიტყვოდ

7-81

81-741

ისრაელი აქტიურად ზრდის საკუთარი წარმოების იარაღის ექსპორტს.
გაზეთებიდან

საბჭოთა
გაზეთები

საბჭოთა და იუგოსლავიის
შუიკანი „ნიანგი“
№ 20 (1606) ოქტომბერი
გამოცემის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლშვიძე

სარედაქციო
კოლეგია:
ზაურ ამირაჯიძე,
ნოდარ ბარათია,
გორის გურგულია,
ნოდარ დუმბაძე,
რეზა თვარაძე,
ჯემალ ლოლუა,
ნოდარ მაღალაშვილი
(მხატვარი-რედაქტორი),
ალექსანდრე სანთაძე,
გენადი სიხარულიძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
გიგლა ფიცხელაძე,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
თამაზ წიგნაძე,
ვაჟა ზანიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე),
ნაზი ჯუსოიტი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუზალაშვილი

გადამცემი სასაქონლო
21. 9. 81 წ.
ხელმოწერილია დასაბუთად
27. 10. 81 წ.
ქალაქის ზომა 70x108 1/2
ფორმატი ნაბეჭდი
ფურცელი 1
საპრინტიზო-საგამომცემლო
თბილისი 1,7
საქართველოს კპ ცკ-ის
გამომცემლობა
ლენინის ქ. № 14,
შეკეთა № 2522 შე 08708.
ტირაჟი 150.950.
ქურონალი გამოცემის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/მ მდივნის — 93-10-78, მხა-
ტვარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტერატორ-
ების — 99-02-38, მდივანი-მეგან-
ქანის — 99-76-69.

სატირიკო-იუმორისტული
ჟურნალ „ნიანგი“
(на грузинском языке)
თბილისი, პრ. რუსთაველი № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.
ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137



ნახ. ზ. ლომიძის

— აბა, ცოცხალი, ცოცხალი!..

№ 741
81
27/X1